დაძაბულ ბრძოლაში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 16 მაისი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (ქუთაისი) 2:1 (1:0).

"დინამო": იმნაძე, ანდღულაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, კაკილაშვილი, ჟვანია, ცავა, ჯოხაძე (მესხი).

"ტორპედო": ქანთარია, კორღალიძე, ჭილაია, ჭელიძე, გვაძაბია, ქორიძე, გოგოლაძე (ჟორდანია), ბურკაძე, მეგრელაძე, დარჯანია, ჩქარეული.

მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).

მაყურებლები - 45.000.

ამ მატჩისთვის ორივე გუნდს აკლდა წამყვან სპორტსმენთა მთელი ჯგუფი და, მიუხედავად ამისა, დინამოელებმაც, ტორპედოელებმაც ითამაშეს დიდი მონდომებით, გამოავლინეს მაღალი ოსტატობა და თუ გამარჯვება წილად ხვდა "დინამოს", ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ "ტორპედო" მას შესამჩნევად ჩამორჩებოდა. საერთო უპირატესობა მატჩში თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ ქუთაისელები ხშირად ქმნიდნენ კონტრთამაშს, მათი აქტიურობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო შეხვედრის დასკვნით ფაზაში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა "ტორპედოს" თავდასხმის სამეულმა (მეგრელაძე, დარჯანია, ჩქარეული) და განსაკუთრებით მცველმა ჭელიძემ, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

დასაწყისში ტემპი არ იყო სწრაფი. შემდეგ, მე-15 წუთზე, ორივე კართან შეიქმნა სახიფათო მომენტები, ჯერ დარჯანიამ დაარტყა ძნელი მდგომარეობიდან და ბურთი ოდნავ აცდა მიზანს, შემდეგ კი ჟვანიამ გადაუგდო ბურთი თავზე ქანთარიას, მაგრამ ბოლო მომენტში ვითარება განმუხტა ერთ-ერთმა მცველმა.

მე-16 წუთზე სვანაძე კარგად ჩაერთო შეტევაში და ზუსტად დაარტყა კარში - 1:0. ტაიმის დამთავრებამდე უპირატესობა ისევ "დინამოს" ჰქონდა, ტორპედოელები კი კვლავ სახიფათო კონტრიერიშებით პასუხობდნენ. ტაიმის ბოლოს კორღალიძის მიერ მოწოდებული ბურთი თავით ოდნავ ააცილა მასპინძელთა კარს დარჯანიამ.

ასევე დაძაბულად საინტერესოდ მიმდინარეობდა თამაში მეორე ტაიმში. დინამოელთაგან თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცავა, "ტორპედოს" მხრივ იერიშებში კარგად ჩაერთო ჟორდანია.

69-ე წუთზე მუჯირი ოსტატურად შეიჭრა სტუმრების ზურგში და თავისი რეიდი ზუსტი დარტყმით დაამთავრა - 2:0.

ამის შემდეგ ტორპედოელები ბევრს ეცადნენ თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის, 74-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე სწრაფად გავიდა ჩქარეული, დრიბლინგით გასცდა მცველებს, ბურთი მიაწოდა კარის წინ და აქ კარგად ითამაშა მეგრელაძემ - 1:2.

შემდეგში ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა შეტევები არც ერთ მხარეს არ შეუნელებია.

ბ. ქორქია.
"ლელო", 18 მაისი, 1982 წ.